# ISET ბიზნესის განწყობის ინდექსი(BCI) კვარტალი 4 2015

## მოლოდინები ბევრად უფრო რეალისტურია




ბიზნესის განწყობის ინდექსი საქართველოში მცირედით, [-100;100] სკალაზე 14-დან 11-მდე შემცირდა. ვაჭრობისა და ფინანსურმა სექტორებმა განსაკუთრებით დიდი კლება განიცადეს, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის სექტორის განწყობა გაიზარდა.

აგვისტოში, გაცვლითი კურსის განმეორებითი და მოულოდნელი რყევის შემდეგ, ბიზნეს სექტორმა მოლოდინების გადააფასა და მოლოდინების ინდექსი 34-დან 16-მდე დაეცა.

შობა-ახალმა წელმა მოსალოდნელი გასაყიდი ფასების ინდექსის ზრდა გამოიწვია.

**3**

კვარტალი 3 2015




**24**

კვარტალი 4 2015

## რა ძირითადი ფაქტორები ზღუდავს თქვენს ბიზნეს საქმიანობას?




ბიზნესის კეთების ძირითად შემზღუდველ ფაქტორად არასაკმარისი მოთხოვნა დასახელდა.

არასტაბილური მოთხოვნის პირობებში ფუნქციონირება განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირს და ეს ტენდენცია მეოთხე კვარტალშიც შენარჩუნდა.

მეორეს მხრივ, სამთავრობო ჩარევები უფრო პრობლემურია დიდი საწარმოებისთვის.

ბიზნეს განწყობა მცირედით გაუმჯობესდა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, მაგრამ გაუარესდა მსხვილი საწარმოებისთვის.




## კვლევაში მონაწილეობდა 207 კომპანია




**შენიშვნა** 2013 წლის დეკემბრიდან მოყოლებული ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, ყოველკვარტალურად, სს. „ბია“-სთან (ბიზნეს ინფორმაციის სააგენტო) და საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ერთად, ახორციელებს ბიზნესის განწყობის გამოკითხვას.